პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 135 (2498) ◉ შაბათი, 11 ივლისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ტალინის ხელოვნურ-საფარიან ტრამპლინზე გაიმართა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს „მფრინავ მოთხილამურეთა“ შეჯიბრება.

სურათებზე: ზევით — შეჯიბრებაში გამარჯვებული პ. კოვალენკო, რომელმაც ტრამპლინის რეკორდი (53,50 მ) დაამყარა; ქვევით — ტრამპლინის საერთო ხედი.

ფოტო ო. კოსკასი (საკდესი).

## კონკურსის ნორმატივის შესრულებისთვის

სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ დააწესა სამკერდე ნიშანი, რომელიც გადაეცემა სპორტსმენს საკავშირო წინასაოლიმპიადო კონკურსის ნორმატივების შესრულებისთვის.

ახლახანს საქართველოს სპორტკავშირის სახელზე მოსკოვიდან მოვიდა ამანათი, რომელშიც იყო ზემოაღნიშნული სამკერდე ნიშნები. ისინი გადაეცემა საქართველოს სპორტსმენებს, რომლებიც შეასრულებენ საკავშირო წინასაოლიმპიადო კონკურსის ნორმატივს.

## უკანასკნელი საათი...

◆ ბელგრადი, 10 ივლისი. აქ გაიმართა იუგოსლავიის დედაქალაქისა და მოსკოვის ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა კლასიკურ ჭიდაობაში. ყველა წონით კატეგორიაში გაიმარჯვეს სტუმრებმა.

◆ მოსკოვი, 10 ივლისი. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირმა მსოფლიო ჩემპიონს ასუჯრიან შაშში, 23 წლის მოსკოველ ვ. შჩოგოლევს მიანიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

ვ. შჩოგოლევის მწვრთნელს, სპორტის ოსტატ ნ. კურნოსოვს მიენიჭა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

## სსრ კავშირის ოლიმპიურ კომიტეტში

მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის გაფართოებული სხდომა. პრეზიდიუმმა მოისმინა ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის კ. ა. ანდრიანოვის ცნობა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის 1964 წლის ივნისის გადაწყვეტილებათა შესახებ.

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტი მიესალმება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებას ოლიმპიადაზე ინდონეზიის სპორტსმენების კანონიერი უფლების აღდგენის გამო.

პრეზიდიუმმა კმაყოფილებით მიიღო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დამტკიცება მის მიერ ადრე მოწონებული რეზოლუციისა ოლიმპიურ შეჯიბრებებზე არ დაუშვას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ამ ქვეყანაში არათეთრი მოსახლეობის სპორტში რასობრივი დისკრიმინაციისთვის.

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ რ. კისელიოვმა ინფორმაცია გააკეთა ოლიმპიური თამაშების დროს საბჭოთა ფედერაციების მონაწილეობაზე საერთაშორისო სპორტული ფედერაციების კონგრესების სხდომებში.

## აჭარის წყალბურთელები — პირველ ადგილზე

ბათუმის „სპარტაკის“ საცურაო აუზში ხუთ დღეს გასტანა საქართველოს 1964 წლის ჭაბუკთა პირველობამ წყალბურთში. მონაწილეობდნენ თბილისის „ნორჩი დინამოელის“, „ბურევესტნიკის“, ბათუმის, სოხუმისა და ქუთაისის ჭაბუკთა ნაკრები გუნდები. ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდნენ აჭარელი წყალბურთელები, რომლებმაც მოიპოვეს უძლიერესის სახელი. მომდევნო ადგილებზე არიან: „ნორჩი დინამოელი“ (თბილისი), აფხაზეთის ნაკრები, „ბურევესტნიკი“ (თბილისი) და ქუთაისის ნაკრები.

• • •

სურათზე: შეჯიბრების ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ა. ტუღუშისა.



## ინდონეზიიდან — 50 სპორტსმენი

როგორც ცნობილი გახდა, ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე ინდონეზია გაგზავნის 50 სპორტსმენს. პრეზიდენტმა სუკარნომ განაცხადა, რომ დიდ იმედებს ამყარებს თავის ქვეყნის ოლიმპიელებზე და ეჭვი არ ეპარება, რომ ისინი ღირსეულად დაიცავენ ინდონეზიის სპორტულ ღირსებას.

## „ა“ კლასის ვიზებისთვის

დღეს სევასტოპოლში იწყება „ბ“ კლასის წყალბურთელთა გუნდების ტურნირი. გათამაშებაში მონაწილეობენ შესარჩევ შეჯიბრებებში გამარჯვებული კოლექტივები — მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტი, „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი), „სპარტაკი“ (ასტრახანი), „დინამო“ (მოსკოვის ოლქი), სკფ (სევასტოპოლი), „სპარტაკი“ (ხარკოვი), სკა (კიევი), „ბურევესტნიკი“, „ლოკომოტივი“ (ორივენი — თბილისიდან), „დინამო“ II (ტაშკენტი), „კრასნოე ზნამია“ (მინსკი), გერმანიაში მყოფი საბჭოთა ჯარების ჯგუფის გუნდი.

ასპარეზობაში I—III ადგილებზე გამოსული გუნდები მომავალი წლიდან ითამაშებენ „ა“ კლასში.

## დღეს ნომერში:

● მარათონელებს გააცილებს შვეულმფრენი
● ტანმოვარჯიშე ქალები გროდნოდან
● ნორჩ ფეხბურთელთა დავა დასრულდა
● სკეპტიკოსები გაწბილდნენ
● რინგიდან — კაბარეში

## ლიდერთა შორის

### სტუდენტთა თამაშები

კაუნასი, 10 ივლისი (ტელეგრაფით, ჩვენი სპეცკორ). აქ გრძელდება მოფარიკავეთა შეჯიბრება სტუდენტთა საკავშირო თამაშების პროგრამით. მოფარიკავე ქალებმა უკვე დაამთავრეს გუნდური ასპარეზობა. სარატოვის რკინიგზის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივებმა შეჯიბრებაზე თანაბარი ქულები დააგროვეს. I ადგილი მიეკუთვნათ სარატოველ მოფარიკავეებს, რადგან მათ მეტი მოგებული შეხვედრა აღმოაჩნდათ. მეორე ადგილი წილად ხვდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, ხოლო მესამე — სახელმწიფო უნივერსიტეტს.

მოფარიკავეთა საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე მიდის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი, მეორეზე არიან სარატოველები, ხოლო მესამეზე — თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები.

ა. გოგელია

## სტარტზე — დიდი ტურნირები

### ბუენოს-აირესი, ლენინგრადი, კისლოვოდსკი, ბუდაპეშტი...

აი, ქალაქები, რომლებმაც ამსტერდამის შემდეგ მიიპყრო საჭადრაკო სამყაროს ყურადღება. აქ სტარტს აიღებენ დიდი საერთაშორისო ტურნირები, რომლებშიც კვლავ ჩვენი დროის გამოჩენილი დიდოსტატები იქნებიან „მოქმედი პირნი“.

შორეულ არგენტინაში ჭადრაკი ძალიან პოპულარულია, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის დროიდან. საინტერესოა, რომ ომის დაწყების წინ ბუენოს-აირესში დაიწყო მსოფლიო გუნდური პირველობა და ევროპის ბევრი გამოჩენილი მოჭადრაკე იძულებული შეიქნა არგენტინაში დარჩენილიყო. სწორედ ეს გახდა ამ ქვეყანაში ათეული საერთაშორისო ტურნირის გამართვის მიზეზი. ამ შეჯიბრებებში კი გაიზარდნენ ახალგაზრდა დიდოსტატები ო. პანო, გ. როსეტო, კ. გიმარი, რომლებიც გაარგენტინებულ დიდოსტატებთან — პოლონელ მ. ნაიდორფთან, ავსტრიელ ე. ელისკაზესთან ერთად ამჟამად წარმატებით მონაწილეობენ მრავალ დიდ ტურნირში.

საბჭოთა მოჭადრაკეები არგენტინაში პირველად 1954 წელს იყვნენ ამხანაგური გუნდური მატჩების ჩასატარებლად. ახლა დიდ ტურნირში სათამაშოდ იქ ჩავიდნენ მსოფლიო ჩემპიონი ტ. პეტროსიანი და პ. კერესი, რომლებსაც მოუხდებათ ბრძოლა ამერიკის კონტინენტის გამოჩენილ დიდოსტატებთან.

თითქმის 15 წელია იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი მსოფლიოში მეორეა სსრ კავშირის ნაკრების შემდეგ. იუგოსლაველების აქტივშია 7 დიდოსტატი და უძლიერესი მოჭადრაკე ქალები. სწორედ ამიტომ საბჭოთა და იუგოსლაველი მოჭადრაკეების ამხანაგური ტრადიციული მატჩები, რომლებიც 1956 წლიდან ეწყობა, დიდი ინტერესით სარგებლობენ.

ამჯერადაც ორმა ქვეყანამ თავისი საუკეთესო მოჭადრაკეები გამოიყვანა. რასაკვირველია, ყველაზე უფრო კარგ სანახაობას გვპირდება მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების ბ. სპასკისა და ბ. ივკოვის გამოსვლა, რომლებიც თავკაცობენ თავიანთი ქვეყნების ნაკრებ გუნდებს. არანაკლებ საყურადღებოა ნონა გაფრინდაშვილის შეხვედრები იუგოსლავიის ჩემპიონ მ. ლაზარევიჩთან და ვ. ნედელკოვიჩთან. სხვათა შორის, მსოფლიო ჩემპიონს მათთან შეხვედრების ანგარიში საყაიმო აქვს (ლაზარევიჩთან — 2:2, ნედელკოვიჩთან — 2,5:2,5).

კისლოვოდსკში თამაშობს მ. ტალი! და, მაშასადამე, გულშემატკივრებს „დაეკარგათ“ მოსვენება. ის ფაქტიც, რომ მასთან ერთად ამ შესანიშნავ აგარაკზე ჩავიდნენ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ლ. შტეინი, დიდოსტატი ი. ავერბახი და იუგოსლავიის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის ძლიერი ოსტატები, საინტერესო ასპარეზობას გვპირდება. ეჭვი არ არის, რომ სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის VI ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი დაატყვევებს ჭადრაკის ქომაგებს.

ბუდაპეშტში კი უკვე აიღო სტარტი საერთაშორისო ტურნირმა, რომელშიც სოჭელი დიდოსტატი რ. ხოლმოვი და რიგელი საერთაშორისო ოსტატი ა. გიპსლისი ჩაებნენ. აქ საბჭოთა მოჭადრაკეებს სერიოზული კონკურენტები ჰყავთ დიდოსტატების მ. ბობოცოვის (ბულგარეთი) და ა. ოკელის (ბელგია) სახით.

ახლა ის დროა, რომ ჭადრაკის მოყვარულები აეწყონ ამ დიდი ტურნირების ტალღაზე.

თ. გიორგაძე

• • •

კისლოვოდსკის ტურნირის I ტურში შტეინ — ტალისა და ბიკოვსკი (სსრკ) — ბრადვარევიჩის (იუგოსლავია) პარტიები ყაიმით დამთავრდა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

# მიზანი — ოლიმპიური თამაშები

**მოსკოვი** (ტელეფონით ჩვენი კორ). ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ტანმოვარჯიშეები კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდნენ ტოკიოს. სსრ კავშირის პირველობა ცალკეულ იარაღებზე ოლიმპიური თამაშების კანდიდატთა ბოლოსწინა გამოცდას წარმოადგენდა. ოლიმპიელებს დარჩათ კიდევ ერთი ზღურბლი — აგვისტოს ტურნირი (ისიც მოსკოვში გაიმართება) და შემდეგ... ოქროს მედლებისთვის ბრძოლა ამომავალი მზის ქვეყანაში.

როგორ წარიმართა ბრძოლა პირველობისთვის ცალკეულ იარაღებზე? პირველ რიგში აღსანიშნავია ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა „მრისხანე“ ფინიში, რომელმაც სერიოზული გადაჯგუფება მოახდინა უძლიერესთა რიგებში. პირველი „სენსაცია“ გროდნოელ თ. ალექსეევას გამარჯვება იყო ხტომებში (19,876). მან უკან ჩამოიტოვა ტანვარჯიშის აღიარებული ოსტატი ლ. ლატინინა (19,783) და ე. ვოლჩეცკაია (19,636).

ნაირსიმაღლის ორძელზე „გრიგალი“ არ შეინიშნებოდა. ფავორიტებმა „კეთილსინდისიერად“ გაიყვეს ადგილები პირველ სამეულში. ჩემპიონის ტიტული ლ. ლატინინამ მოიპოვა (19,649). მომდევნო ადგილზე ერთნაირი შედეგებით გამოვიდნენ ს. მურატოვა და პ. ასტახოვა — 19,5 თვითეულს.

წლევანდელ ტურნირში მძლავრ ძალად წარმოსდგა ქალთა ტანვარჯიშის ახალი ცენტრი — გროდნო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ქალაქის ერთი წარმომადგენელი ოქროს მედალს ხტომებში დაეპატრონა. დვირზე ვარჯიშში ოქროს მედალსანი მეორე გროდნოელი ტანმოვარჯიშე — ე. ვოლჩეცკაია გახდა (19,499). მომდევნო ადგილები ლ. გრომოვამ (19,399) და ს. მურატოვამ (19,35) დაიკავეს.

ტურნირის ცენტრალური მოვლენა თავისუფალ ვარჯიშში შეჯიბრება იყო. აქ პირველობა დაისაკუთრა პ. ასტახოვამ (19,75). მაგრამ გამარჯვებულზე მეტი მოწონება და ოვაციები მეორე ადგილზე გამოსულმა ლ. გრომოვამ დაიმსახურა, რადგან ნებისმიერ ვარჯიშში უმაღლესი შეფასება — 10 ქულა მიიღო. თ. მანინას მესამე ადგილი დარჩა (19,637).

როგორც ხედავთ, ქალთა ტურნირში ჩვენი რესპუბლიკის არც ერთი წარმომადგენელი არ მონაწილეობდა. მრავალჭიდელთა ჩემპიონატში ა. ჯანუყაშვილმა XII ადგილი დაიკავა (75,931), ხოლო მ. ნინოშვილმა — XIII (75,598), ისინი ვერც ერთ იარაღზე ვერ მოხვდნენ ექვსეულში და ამიტომ არ იქნენ დაშვებული ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში.

ტურნირის დამთავრების შემდეგ შედგა ოლიმპიური ნაკრები 12 კანდიდატის შემადგენლობით. ნაკრებში კვლავ არიან მ. ნინოშვილი და ა. ჯანუყაშვილი.

ვერც ვაჟთა შეჯიბრებამ (მრავალჭიდში) ვერ მოუტანა წარმატება საქართველოს ტანმოვარჯიშეებს, მათ შორის საუკეთესო — ნ. მაკალათია XIV ადგილზე (112,1) გამოვიდა, მ. ბოგუსი კი XIX ადგილზე (111,65). მაკალათიამ მხოლოდ X ადგილი დაიკავა ღერძზე და XII — ორძელზე. ისინიც, ქალების მსგავსად არ იქნენ დაშვებული ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში.

ვაჟთა ჩემპიონატში დიდ წარმატებას მიაღწია ვ. ლისიცკიმ, რომელმაც, როგორც ვიუწყებოდით, 5 მედალი დაისაკუთრა. მეტად საინტერესოდ წარიმართა პირველობისთვის ბრძოლა ღერძზე, სადაც სამივე პრიზიორმა მაღალი შედეგი გვიჩვენა, შახლინი ამ იარაღზე კვლავაც უძლიერესი რჩება. ამის კიდევ ერთი დადასტურებაა 10 ქულა, რომელიც მან ნებისმიერ ვარჯიშში მიიღო. ჩემპიონს ტოლი არ დაუდეს პ. სტოლბოვმა (9,9) და ახალგაზრდა უკრაინელმა ტანმოვარჯიშემ ვ. კუცმა — 9,8. ძალიან მაღალი შედეგი ჰქონდა ორძელზე ნებისმიერ ვარჯიშში ახალგაზრდა ს. დიამიდოვს — 9,9.

ტურნირის საბოლოო შედეგები ასეთია: **თავისუფალი ვარჯიში** — ვ. ლისიცკი — 19,475, ი. ცაპენკო — 19,45, ვ. ლეონტიევი — 19,3; **ტაიჭი** — ი. ცაპენკო — 19,75, ვ. ლისიცკი — 19,425, ბ. შახლინი — 19,4; **რგოლები** — ვ. ლეონტიევი — 19,6, ვ. კერდემელიდი — 19,425, ვ. ლისიცკი — 19,35; **ორძელი** — ს. დიამიდოვი — 19,525, ვ. ლისიცკი — 19,425, ბ. შახლინი — 19,35, **ხტომა** — ვ. ლისიცკი — 19,5, ვ. კერდემელიდი — 19,45, ი. საბიროვი — 19,35; **ღერძი** — ბ. შახლინი — 19,85, პ. სტოლბოვი — 19,725, ვ. კუცი — 19,575.

ტურნირის მონაწილეთათვის დაწესებული იყო სპეციალური პრიზები. გაზეთ „პრავდის“ პრიზი, დაწესებული ოლიმპიური პროგრამის უკეთ შესრულებისთვის, მიენიჭათ ე. ვოლჩეცკაიას და ი. ტიტოვს. ამავე გაზეთის მეორე პრიზი ნებისმიერი პროგრამის უკეთ შესრულებისთვის — ლ. ლატინინასა და ბ. შახლინს. გაზეთ „იზვესტიის“ პრიზი თავისუფალი ვარჯიშის უნაკლო შესრულებისთვის მიიღეს ვ. ლისიცკიმ და ლ. გრომოვამ.

**ლ. სირბილაძე**

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. ლისიცკი—რგოლებზე.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.



# ლაპარაკობს და აჩვენებს ტოკიო

**3** თვე დარჩა XVIII ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე, მაგრამ ყველა ქვეყნის მილიონობით სპორტის მოყვარულმა უკვე დაიწყო „ტოკიოს ტალღის“ ძებნა. ყველას აინტერესებს, თუ რა გააკეთეს სპორტსმენთა მსოფლიო ფორუმის ორგანიზატორებმა, ჟურნალისტებისთვის, იმისათვის, რომ შეჯიბრებათა მსვლელობა წარმატებით გააშუქოს პრესამ, რადიომ, ტელეხედვამ.

გაკეთებული კი ბევრია.

დამთავრების ფაზაშია ტოკიოს ახალი მძლავრი რადიოცენტრის მშენებლობა, რომელიც 1963 წლის აპრილში დაიწყო. მიწისზედა 4 და მიწისქვეშა 3 სართულის მქონე რადიოცენტრი დაიკავებს 55.000 კვადრატული მეტრის ტერიტორიას. აქ მოთავსდება ყველა საჭირო სასამსახურო შენობა: კინოპავილიონები და ფოტოლაბორატორიები, ადგილობრივი პერსონალისა და უცხოელი კომენტატორების მომსახურების ბიურო, სტაციონალური მაგნიტოფონებისა და სხვა სპეციალური აპარატურის ჯიხურები. პროექტით დაგეგმილი ტელეხედვის 5, რადიომაუწყებლობის 40 სტუდია გადაცემას განახორციელებენ სხვა ქვეყნებისთვის. ამას დაემატება ის, რომ იაპონიის მოკლეტალღიანი რადიომაუწყებლობა მოაწყობს გადაცემას 23 ენაზე.

ტელეხედვის სამსახური ითვალისწინებს ყოველდღიურად 8 პროგრამის დემონსტრირებას, რომელიც გადაიცემა საზღვარგარეთის ტელეცენტრების მიერ არჩევანის მიხედვით. უცხოეთის სატელევიზიო კომპანიებს უფლება ეძლევათ აგრეთვე შეუკვეთონ დამატებითი გადაღებები. გარდა ამისა, განზრახულია რეგულარულად გამოუშვან კინომიმოხილვები, რომლებითაც გაშუქდება ძირითადი მოვლენები.

რადიომაუწყებლობის, ტელეგადაცემისა და კინოგადაღების მონოპოლია შეიძინა იაპონიის რადიომაუწყებლობის კომპანიამ — ენ ეიჩ კეიმ. გადაცემათა ორგანიზაციისთვის კომპანიამ მოამზადა 700 მაგნიტოფონი, 80 ტელეკამერა, 30 გადასატანი ტელეგადამცემი, 20 მოძრავი ელექტროსადგური, 600 მიკროფონი, 400 ტელემონიტორი, კინოფირის გადასაღები 11 დანადგარი, 1.000 ტელეფონი და სხვა აპარატურა, რომელთაც მოემსახურება კომპანიის 1.600 მუშაკი.

მთავარ შეჯიბრებათა ტრანსლაცია იწარმოებს ტოკიოსა და მის ფარგლებს გარეთ განლაგებულ 32 სტადიონიდან და სპორტულ მოედნიდან. კომენტატორთათვის უკვე აშენდა 600 ჯიხური საკუთარი გამაძლიერებლებითა და ჩასაწერი აპარატურით. საინტერესოა, რომ მარტო მარათონულ რბენაში შეჯიბრების დემონსტრირებისთვის, 19 სტაციონალური ტელეგადამცემის გარდა, განზრახულია გამოყენებულ იქნას ავტომანქანა, შვეულმფრენი მოძრავი კამერებით, აგრეთვე რელეგადამცემით.

მრავალფეროვანია საზღვარგარეთისთვის გადაცემათა ფორმა. რადიოკომენტატორთა განკარგულებაში იქნება მოკლეტალღიანი გადამცემები, გამოიყენება საზღვაო სატელეფონო კაბელი, რომელიც უკვე გაყვანილია აშშ-სა და ევროპის, აშშ-სა და ჰავაის კუნძულებს შორის. ოლიმპიური თამაშების დაწყების წინ დამთავრდება კაბელის გაყვანა უბანზე — ჰავაის კუნძულები—იაპონია. ტელეგადაცემები გადაიღება ფირზე, ჩაიწერება მაგნიტის ფირზე და ტრანსპორტირებულ იქნება თვითმფრინავით.

ამას წინათ ენ ეიჩ კეის პრეზიდენტმა ს. აბემ ხელი მოაწერა ამერიკის ხელისუფლებთან ტოკიოს ოლიმპიადის გადაცემათა რეტრანსლაციაზე დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „სინკომი-3“-ის მეშვეობით, რომელსაც გაუშვებენ აგვისტოში.

ამჟამად 59 ქვეყნის რადიომაუწყებლობის 71 ორგანიზაციამ და 39 ქვეყნის 42-მა ტელეკომპანიამ უკვე გამოთქვა იაპონიიდან გადაცემათა რეგულარულად მიღების თანხმობა. ისინი გადაცემათა კომენტირებისთვის ტოკიოში მიავლენენ 550 რადიო და ტელერეპორტიორს.



**ს**აქართველოს ფრენბურთელთა ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. უკვე გამოვლინდნენ ფინალისტები, რომლებიც დღეს უკანასკნელ მატჩებს ჩაატარებენ. ვაჟთა ფინალში გავიდნენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, აჭარის, ფიზკულტურის ინსტიტუტისა და აფხაზეთის სპორტსმენები, ქალთა ფინალში კი თამაშის უფლება მოიპოვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის, აფხაზეთის, თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტისა და ქუთაისის კოლექტივებმა.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: აჭარის ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ფრენბურთელთა შეხვედრის მომენტი. ეს მატჩი მოიგეს აჭარელმა სპორტსმენებმა — 3:1.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## სოფლის სპორტსმენთა ჩემპიონატი

სოხუმში დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების კალათბურთელთა შეჯიბრება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე. ტურნირში გამოდიოდნენ დიდი ჯიხაიშის, წულუკიძის, მახარაძის, აბაშის, ლაგოდეხის, გეგეჭკორის, ახალციხის, მცხეთის, გორის, ლანჩხუთის, ცხაკაიას და სხვა გუნდები. შეჯიბრების მონაწილენი დაყოფილი იყვნენ ორ ქვეჯგუფად, სადაც პირველ-მეორე ადგილებზე გამოსული გუნდები ფინალურ ჯგუფს ქმნიდნენ.

პირველი ადგილისათვის გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ დიდი ჯიხაიშისა და წულუკიძის კალათბურთელები. გამარჯვება მოიპოვეს პირველებმა — 62:45. მესამე ადგილზე გამოვიდა მახარაძის გუნდი, რომელმაც ანგარიშით 59:50 დაამარცხა აბაშის კალათბურთელთა კოლექტივი.

ვ. სემიონოვი
(ჩვენი კორ.).

# ტრადიციის დასაწყისი

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამას წინათ საქართველოს ელექტრომრეწველობისა და ელექტროსადგურების მუშაკთა რესპუბლიკური პროფკავშირების საბჭომ ჩაატარა პირველი რესპუბლიკური სპარტაკიადის თბილისის ეტაპი. აღნიშნული სპარტაკიადის დასკვნითი, მეორე ეტაპი ამას წინათ მოეწყო ფოთში.

აქ თავი მოიყარა ფიზკულტურის 8 კოლექტივმა თბილისიდან და თითო ორგანიზაციამ ფოთიდან, ბათუმიდან და ქუთაისიდან. 172 მონაწილე ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას კალათბურთში, ხელბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში.

კალათბურთში პირველი ადგილი დაიკავეს ფოთელებმა, ხელბურთსა და ჭადრაკში — ქუთაისელებმა, მაგიდის ჩოგბურთში — თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის სპორტსმენებმა.

სპარტაკიადის ორივე ეტაპის საერთო ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდა ქუთაისის კოლექტივი, რომელმაც მოიპოვა პირველი რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება. მას გადაეცა პროფკავშირების გარდამავალი ჯილდო. მეორე საპრიზო ადგილი წილად ხვდა თბილისის ქარხანა ელექტროგამშვებს, მესამე — თბილისის პლასტმასის ქარხანას.

სპარტაკიადის მსვლელობის დროს 50-მა სპორტსმენმა შეასრულა მესამე სპორტული თანრიგი, 10-მა — მეორე, ორმა — პირველი.

ელექტრომრეწველობისა და ელექტროსადგურების მუშაკთა რესპუბლიკურმა პროფკავშირებმა არ უნდა დაივიწყონ ეს მეტად სასარგებლო წამოწყება და ყოველწლიურად მოაწყონ ასეთი მნიშვნელოვანი კომპლექსური ღონისძიებანი.

უ. მოსაშვილი

# ფეხბურთი

## კოლექტივიზმს მოაქვს გამარჯვება

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 10 ივლისი.

„დინამო“ (თბილისი) — სკა (როსტოვი) 2:1 (1:0).

ს კ ა: გლუხოტკო, გეტმანოვი, ლინიაევი, კრივობოროდოვი, აფონინი, შიკუნოვი, მატვეევი, ანდრიენკო, პონედელნიკი, ჩერტკოვი, კოპაევი.

„დინამო“: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, მეტრეველი, ბარქაია, ხუციშვილი, დათუნაშვილი (აფშევი).

მსაჯი ა. მუგურდუმოვი (კიევი).

დუბლიორების მატჩი მოიგეს თბილისელებმა — 1:0. ბურთი გაიტანა აფშევმა.

გუშინდელ მატჩს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისთვის და უნდა ითქვას, მეტოქეებმა მთელი თავიანთი შესაძლებლობით ითამაშეს. მაყურებელი მოწმე იყო ძალზე დაძაბული, მწვავე და საინტერესო ბრძოლისა.

ძლიერ მეტოქესთან მატჩი თბილისელებმა შესანიშნავად ჩაატარეს. საერთო მონდომებამ, ერთსულოვნებამ და კოლექტივიზმმა მათ მოუტანა დამსახურებული გამარჯვება. ანგარიში 38-ე წუთზე ზუსტი დარტყმით, დაახლოებით 30 მეტრის მანძილიდან, გახსნა ბ. სიჭინავამ. მეორე ტაიმში (მე-18 წუთი) მეტრეველმა ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა — 2:0. ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორი როსტოველთა მხრივ იყო პონედელნიკი (79-ე წუთი).

• • •

ამ მატჩის დაწვრილებითი ანგარიში იხილეთ „ლელოს“ შემდეგ ნომერში.

## ქუთაისელთა კიდევ 2 ქულა

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 10 ივლისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო) 1:0 (0:0).

„ნეფტიანიკი“: შეხოვი, დანილოვი, ახუნდოვი (ბანიშევსკი), ჭანჭალეიშვილი, ტროფიმოვი, ბრუხტი, ტუაევი, ალეკპეროვი, გოლოდეცი, მარქაროვი, გაჯიევი.

„ტორპედო“: ურუშაძე, ლობჟანიძე, ნიშნიანიძე, ოდიკაძე, კუტივაძე, სიამაშვილი, ავალიანი (სირაძე), ჩხარტიშვილი, ხაჟალია, სარჯველაძე, ხერხაძე.

მსაჯი ვ. პოდგორნი (მოსკოვი).

დუბლიორთა მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2. ქუთაისელთაგან ორივე ბურთი გაიტანა თ. მელაშვილმა.

ძველმა ნაცნობებმა ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყეს ბრძოლა. პირველივე წუთზე ბაქოელთა კართან შეიქმნა სახიფათო მომენტი, როცა ჩხარტიშვილ — ავალიანის კომბინაციის შემდეგ ბურთი სულ მცირე მანძილით აცდა კარს. ამიოდე წუთიც, და ოდიკაძის ძლიერად დარტყმული ბურთი ლამაზ ნახტომში მოიგერია შეხოვმა.

მასპინძლებმა სტუმრებს მეტად მაღალი ტემპი მოახვიეს თავს და ბაქოელები იძულებული გახდნენ გოლოდეცი და მარქაროვი ზურგის გასამაგრებლად უკან დაეწიათ. მარქაროვის მეურვედ გამოყოფილ სარჯველაძეს, როგორც იტყვიან, ხელფეხი გაეხსნა და იგი აქტიურად ჩაება თავდამსხმელთა ოპერაციებში.

ბურთი გატანილ იქნა მეორე ტაიმის მე-19 წუთზე. ხერხაძემ საჯარიმო დარტყმიდან ბურთი მიაწოდა ღიად დარჩენილ კუტივაძეს, რომელმაც შეუჩერებლად გაგზავნა იგი კარში—1:0. დარჩენილ დროში ანგარიში არ შეცვლილა.

ასე დამთავრდა ეს მატჩი, რომელმაც ქუთაისელებს კიდევ 2 ქულა მოუტანა.

**ლ. ფაჩუაშვილი**
(ჩვენი კორ.).

## „ა“ კლასი

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 11 ივლისისათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 13 | 6 | 6 | 1 | 17—6 | +11 | 18 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 12 | 7 | 3 | 2 | 23—10 | +13 | 17 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 13 | 7 | 3 | 3 | 17—5 | +12 | 17 |
| „დინამო“ (თბილისი) | 13 | 7 | 3 | 3 | 18—11 | +7 | 17 |
| „დინამო“ (კიევი) | 13 | 5 | 6 | 2 | 17—11 | +6 | 16 |
| ს კ ა (როსტოვი) | 13 | 7 | 1 | 5 | 20—10 | +10 | 15 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 14 | 4 | 6 | 4 | 8—15 | —7 | 14 |
| ც ს კ ა | 11 | 4 | 5 | 2 | 9—8 | +1 | 13 |
| „დინამო“ (მინსკი) | 12 | 4 | 5 | 3 | 7—6 | +1 | 13 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 14 | 3 | 6 | 5 | 5—14 | —9 | 12 |
| „კაირატი“ (ალმა-ატა) | 14 | 3 | 5 | 6 | 11—15 | —4 | 11 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 14 | 3 | 5 | 6 | 8—15 | —7 | 11 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 11 | 3 | 4 | 4 | 12—10 | +2 | 10 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 13 | 4 | 2 | 7 | 7—14 | —7 | 10 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 13 | 4 | 2 | 7 | 7—18 | —11 | 10 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 12 | 2 | 3 | 7 | 10—18 | —8 | 7 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 11 | 1 | 3 | 7 | 7—17 | —10 | 5 |

• • •

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 1:1.

„დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (მოსკოვი) 0:0.

„კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 0:4.

„ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ვოლგა“ (გორკი) 0:0.

### გათამაშების ცხრილი — მეორე ჯგუფი, II ქვეჯგუფი

მდგომარეობა 11 ივლისისათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სკა (ოდესა) | 16 | 8 | 7 | 1 | 18—7 | +11 | 23 |
| „შახტიორი“ (ყარაგანდა) | 16 | 8 | 5 | 3 | 23—11 | +12 | 21 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 16 | 8 | 3 | 5 | 15—11 | +4 | 19 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 16 | 6 | 5 | 5 | 17—12 | +5 | 17 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 16 | 5 | 7 | 4 | 14—13 | +1 | 17 |
| „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 16 | 4 | 8 | 4 | 11—9 | +2 | 16 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 16 | 6 | 4 | 6 | 15—15 | 0 | 16 |
| „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) | 16 | 5 | 6 | 5 | 15—20 | —5 | 16 |
| „დინამო“ (ტალინი) | 16 | 4 | 7 | 5 | 15—14 | +1 | 15 |
| „კარპატი“ (ლვოვი) | 16 | 6 | 3 | 7 | 19—21 | —2 | 15 |
| „არარატი“ (ერევანი) | 16 | 3 | 8 | 5 | 10—12 | —2 | 14 |
| „ალგა“ (ფრუნზე) | 17 | 5 | 4 | 8 | 17—26 | —9 | 14 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 16 | 4 | 4 | 8 | 12—19 | —7 | 12 |
| „სპარტაკი“ (გომელი) | 17 | 2 | 7 | 8 | 7—18 | —11 | 11 |

## ალჟირის ნაკრების მატჩები

*პირველ ორ თამაშს ალჟირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი გამართავს ლენინგრადსა და მოსკოვში. 13 ივლისს სტუმრები ლენინგრადში ითამაშებენ „ბ“ კლასის ოსტატებით დაკომპლექტებულ რსფსრ-ს ნაკრებთან, ხოლო 17 ივლისს — მოსკოვში შეხვდებიან ადგილობრივ „სპარტაკს“.*

## დიდი ანგარიშით

**ლენინგრადი.** საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში ადგილობრივი „სპარტაკის“ ფეხბურთელებმა ანგარიშით 4:0 დაამარცხეს ფინეთის გუნდი „ჰელსინგინ პონისტუსი“.

## „ბ“ კლასი

9 ივლისს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის.

ბათუმის დინამოელებმა დამარცხება განიცადეს ორჯონიკიძეში ადგილობრივი „სპარტაკისგან“ — 0:1. სოხუმის „დინამომ“ ნალჩიკში ფრედ ითამაშა ადგილობრივ „სპარტაკთან“ — 2:2.

კარგად ითამაშეს რუსთავის „მეტალურგის“ ფეხბურთელებმა ქ. კაფანში, სადაც დაამარცხეს ადგილობრივი „ლერნაგორცი“ — 2:0. მახაჩყალის „დინამომ“ მოუგო ბაქოს თანაკლუბელთა გუნდს — 1:0, მაიკოპის „უროჟაისა“ და კავმინვოდის „შრომითი რეზერვების“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

გუშინ სტავროპოლის „დინამომ“ თავის მინდორზე მოუგო ფოთის „კოლხიდას“ — 2:1.

## „უ შ ბ ა“ „მთაწმინდაზე“ მაღალია...

გუშინდელი მატჩის დაწყებას თბილისის „დინამოსა“ და დონის როსტოვის არმიელთა შორის 2 საათი აკლდა, სტადიონის ტრიბუნებზე კი საკმაოდ მრავლად იყვნენ მაყურებლები, — ისინი, ვინც დაინტერესა ქუჩების გუნდების საქალაქო გათამაშების ფინალურმა მატჩმა. და უნდა ითქვას, „უშბისა“ (ოქტომბრის რაიონი) და „მთაწმინდის“ (კალინინის რაიონი) პატარა ფეხბურთელებმა არ გაუცრუეს მოლოდინი ამ მრავალრიცხოვან აუდიტორიას. თურმე ბავშვთა შორისაც, რომლებიც არ არიან გაერთიანებული სპეციალიზებულ სკოლებში, ყოფილან პერსპექტული, ნიჭიერი მოთამაშეები. „უშბისა“ და „მთაწმინდის“ ბრძოლა ყოველმხრივ საინტერესო იყო.

პრიზისთვის ბრძოლის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა — 2:2. გამარჯვებული უნდა გამოევლინა ორივე კარში გასატან 5—5 პენალტს. აი, ამ გადამწყვეტ მომენტში „მთაწმინდის“ პენალისტებს ნერვებმა უმტყუნეს და 5 დარტყმიდან ბურთი ორჯერ ააცილეს მიზანს. რაც შეეხება „უშბას“, მან ოთხი 11-მეტრიანი გამოიყენა და საპატიო ჯილდოც დაისაკუთრა. საბოლოოდ ფიქსირებულ იქნა ანგარიში 6:5 მის სასარგებლოდ.

ფინალის მონაწილე გუნდებს, აგრეთვე სხვა კოლექტივებში მოთამაშე ნიჭიერ ფეხბურთელებს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. პაიჭაძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა საქართველოს ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა რედაქციის სასარგებლო წამოწყებას. მართლაც, კარგი იქნება, თუ ეს შეჯიბრება ტრადიციად დამკვიდრდება!

**რ. ქორიძე**



სურათზე: ბათუმის პიონერთა პარკის თასის გათამაშების ფინალური მატჩი „ჩანჩქერისა“ და „გაზაფხულის“ ნორჩ ფეხბურთელებს შორის.

ფოტო ა. ტულუშისა.

## შვიდი შეკითხვა დელეგაციის ხელმძღვანელს

„დინამოს“ კალათბურთელთა ტურნირი პოლონეთში

**პოლონეთში** ამას წინათ ჩატარდა სოციალისტური ქვეყნების „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდების ტრადიციული ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილე 8 გუნდი ორ ქვეჯგუფად იყო დაყოფილი. I ქვეჯგუფში სსრ კავშირის „დინამოსთან“ ერთად გამოდიოდნენ პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები.

წინასწარ თამაშებში ჩვენმა სპორტსმენებმა ყველა 3 თამაში მოიგეს (პოლონეთთან — 72:68, რუმინეთთან — 63:52 და ჩეხოსლოვაკიასთან — 79:47) და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. საბჭოთა გუნდის უპირატესობა გადამწყვეტ ტურნირშიც აშკარა იყო. „დინამომ“ თანმიმდევრობით დაამარცხა ჩინეთის (77:63), პოლონეთისა (68:50) და გდრ-ის (86:59) კოლექტივები და გათამაშებაში I ადგილი დაისაკუთრა.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა დელეგაციის ხელმძღვანელს — გ. კირვალიძეს. ქვემოთ ვაქვეყნებთ საუბრის შინაარსს კითხვებისა და პასუხების სახით.

კ ი თ ხ ვ ა: როგორი შემადგენლობით თამაშობდა ჩვენი „დინამო“ პოლონეთში?

პ ა ს უ ხ ი: გუნდი ძირითადად თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებით იყო დაკომპლექტებული. შარშანდელ ტურნირში ჩვენს კოლექტივს ორი მოსკოველი სპორტსმენი პეტროვი და ხრინინი დაემატა. წელს ისინი სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გადიოდნენ წკრთნას და პოლონეთში მათი წაყვანა არ მოხერხდა. კიდევ მეტი, ამავე მიზეზით ტურნირში მონაწილეობა ვერ მიიღო მოსეშვილმა, მინაშვილი კი გუნდს შეჯიბრების დაწყების შემდეგ შეუერთდა. მოსკოვის „დინამოდან“ ჩვენ ორი ახალგაზრდა კალათბურთელი წავიყვანეთ (შატალინი და პოლიაკოვი). როგორც ხედავთ, „დინამოს“ ნაკრების ძირითად ბირთვს თბილისელი სპორტსმენები შეადგენდნენ.

კ ი თ ხ ვ ა: როგორ ფასდებოდა ტურნირში მონაწილე გუნდების შანსები?

პ ა ს უ ხ ი: უპირველეს ყოვლისა უნდა ვთქვათ, რომ წლევანდელი შეჯიბრება მონაწილეთა სიძლიერით ყველა გასულ ტურნირს აღემატებოდა. მაგალითად, პოლონეთის „გვარდიაში“ (იგი თავისი ქვეყნის 1964 წლის ჩემპიონია) ნაკრების 7 წევრი თამაშობდა. გდრ-ის გუნდი გაძლიერებული იყო შეიარაღებულ ძალთა ნაკრების მოთამაშეებით. ამ კოლექტივის პოტენციალზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ გერმანელებმა წინასწარ თამაშებში ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი — ჩინეთის „ციან ვეი“ დაამარცხეს. გამარჯვების ყველაზე რეალურ კანდიდატებად გვთვლიდნენ ჩვენ, აგრეთვე ჩინელ და პოლონელ კალათბურთელებს.

კ ი თ ხ ვ ა: რომელი თამაში იყო თქვენთვის ყველაზე ძნელი და პასუხსაგები?

პ ა ს უ ხ ი: პოლონელებთან შეხვედრა ქვეჯგუფში და ფინალური მატჩი ჩინელებთან. ორივე თამაშში ჩვენი მეტოქენი იბრძოდნენ თავგამოდებით, მაქსიმალური მონდომებით და აზარტით. სწორედ ამ ორ გუნდთან გამარჯვებამ გადაწყვიტა პირველობის ბედი ჩვენს სასარგებლოდ.

პოლონელებმა პირველი მატჩი ქვეჯგუფში 4 ქულის განსხვავებით წააგეს და ფინალში რევანშის წყურვილით იყვნენ შეპყრობილი, მაგრამ განმეორებითი შეხვედრა, როგორც ზემოთ ვთქვით, ჩვენ 18 ქულის სხვაობით მოვიგეთ.

კ ი თ ხ ვ ა: ჰქონდა თუ არა ტურნირში რაიმე მოულოდნელობას ადგილი?

პ ა ს უ ხ ი: მოულოდნელი იყო ბულგარელთა წარუმატებლობა. ისინი დინამოელთა ტურნირის მრავალგზის პრიზიორები არიან. ამჯერად კი ბულგარეთის გუნდი ვერ მოხვდა ფინალში — ე. ი. უძლიერესთა ოთხეულში.

კ ი თ ხ ვ ა: როგორი შთაბეჭდილება დატოვა სპეციალისტებზე საბჭოთა კალათბურთელების თამაშმა?

პ ა ს უ ხ ი: ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულ იქნა უგრეხელიძე. უძლიერესთა ხუთეულში ვლადიმერის გარდა მოხვდნენ ჩვენი საკანდელიძე, ჩერნიახოვსკი (პოლონეთი) მინაშვილი და ლუი-სი (ჩინეთი).

კ ი თ ხ ვ ა: როგორ განიცდიდა მაყურებელი შეხვედრათა მსვლელობას?

პ ა ს უ ხ ი: რა თქმა უნდა, პირველ რიგში იგი თავის გუნდს უჭერდა მხარს, განსაკუთრებით საბჭოთა კალათბურთელებთან მატჩში. მაგრამ მასპინძლებს საკუთარმა კედლებმა ვერ უშველეს. პოლონელი მაყურებლები დიდ იმედებს ამყარებდნენ განმეორებით მატჩზე (ფინალში). მოულოდნელად დარბაზის ერთი ნაწილი ჩვენი გულშემატკივარი აღმოჩნდა. თავდაპირველად გაგვაოცა პოლონელთა ენთუზიაზმმა, მაგრამ საიდუმლოებას ფარდა სულ მალე აეხადა. ჩვენი მომხრეები თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები აღმოჩნდნენ, რომლებიც ის-ის იყო პოლონეთს ეწვივნენ ამხანაგური თამაშების ჩასატარებლად. მშობლიურმა მხარდაჭერამ ძალები გაგვიორკეცა და მასპინძლებს დიდი უპირატესობით მოვუგეთ.

კ ი თ ხ ვ ა: როგორ ატარებდით თამაშებისგან თავისუფალ დროს?

პ ა ს უ ხ ი: ვეცნობოდით კრაკოვის ღირსშესანიშნაობებს, მუზეუმებს, საზოგადოებრივ დაწესებულებებს. ვნახეთ ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი, რომელმაც უაღრესად მძიმე შთაბეჭდილება დატოვა.

# ჩეხური ჩანაწერები

ვიწყებთ ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის ჯ. ენუქიძის ჩანაწერების ბეჭდვას, რომელმაც ახლახანს იმოგზაურა ჩეხოსლოვაკიაში საქართველოს ახალგაზრდობის ტურისტულ და თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა ჯგუფთან ერთად.

## 1. „თეთრთოვლა და შვიდი გნომი“

ტატრების ეროვნული პარკი. ასე ეწოდება მთაგორიან მხარეს, რომლითაც მარტო ჩეხოსლოვაკია როდი ამაყობს. ტატრები იზიდავს ევროპის ყველა ქვეყნის ტურისტსა და მოგზაურს. აქ ზამთარ-ზაფხულ მუდამ ხალხმრავლობაა, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ათასობით ადამიანი ირევა მის ხეობებსა და ფერდობებზე. განუმეორებელი სილამაზის, იშვიათი ფლორისა და ფაუნის გამო ტატრები გამოცხადებულია ნაკრძალად და ამ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას სწორედ ამიტომ უწოდებენ ტატრების ეროვნულ პარკს.

ბინად ტატრების ცენტრში — სტარი სმოკოვეცის ახალგაზრდობის საერთაშორისო ბანაკში გავჩერდით. სტუმართმოყვარე მასპინძლებმა საკმაოდ დატვირთული პროგრამა გაგვაცნეს. აქ ძირითადი დრო ტურისტულ ლაშქრობებში უნდა გაგვეტარებინა. სამწუხაროდ, მთებში ქვეითად სიარულისთვის ჩვენი ჯგუფი სრულიად მოუმზადებელი იყო—არ გვქონდა საამისო ფეხსაცმელი, ზურგჩანთები და სხვა საჭურველი. ასე იყო თუ ისე, სხვა ჯგუფებიც ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და უკანდასახევი გზა არ გვქონდა. კაცმა რომ თქვას, არაფერი წაგვივია, გარდა „სამეჯლისო“ ფეხსაცმელების გაცვეთისა. კიდევ კარგი, მარქაფად ყოველ ტურისტს თან მეორე წყვილი ფეხსაცმელიც წამოეღო...

პირველ დღეს ქვეითად ვესტუმრეთ წარმტაც მთის ჩანჩქერს, შემდეგ ზბოინიცკა ხატას (ზღვის დონიდან 2.000 მეტრზე მაღლა), ტატრანსკა ლომნიცას, საბაგირო გზით —ლომნიცკი შტიტს, სკალნატეს, შტრებსკოსა და პოპრადსკოს ტბებს. ყველაზე მძიმე ზბოინიცკა ხატას დაპყრობა იყო. ქვეითად გრძელ მანძილებზე სიარულს შეუჩვეველ ტურისტებს ძალზე გაუჭირდათ. ამიტომ იყო, რომ ჯგუფის ერთი ნაწილი შუაგზაზე დაბანაკდა, ხოლო მეორემ (ხუმრობით „შვიდ გნომად“ წოდებულმა) იძალა და დაიპყრო კიდეც მწვერვალი. მათ შორის იყვნენ კიბერნეტიკის ინსტიტუტის თანამშრომლები ციციშვილი, ბედენაშვილი, ბონდარევი, მანჯავიძე, ენერგეტიკოსი ჭკუასელი, ეკონომისტი იაშაღაშვილი, ამ სტრიქონების ავტორი და მერვეც „თეთრთოვლა“ გიდი—პრაღის სამედიცინო ინსტიტუტის აბიტურიენტი ევა. სწორედ ამ უკანასკნელის დაუდგრომელმა ხასიათმა, ძალამ და ნებისყოფამ აიყოლია ჯგუფი.

მკითხველი, ბუნებრივია, დასვამს კითხვას: დალოცვილებო, საქართველოში არც მთა არის ცოტა, არც მაღალი მწვერვალები და რატომ გაგიჭირდათ? ეს მართლაც ასეა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში — სამთო ტურიზმის ამ დიდ შესაძლებლობათა მხარეში — ტურისტული მოძრაობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისად განვითარებული და ორგანიზებული, რომ მან დიდი მასობრივი ხასიათი მიიღოს. პირიქით, ბუნებრივ პირობებთან ერთად, ეს საქმე მაღალ დონეზეა დაყენებული: გაყვანილია ტრასები შესაბამისი მაჩვენებლებით, მოწყობილია დასასვენებელი ქოხები და ამიტომ აქ, პატარიდან მოხუცამდე ყველანი მთის კალთებს ეფინებიან ხოლმე ზაფხულობით. აქ ყველა სამთო ტურიზმითაა გატაცებული: სლოვაკი, ჩეხი, მორავი და ათასობით უცხოელი ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან.

პირველმა დღეებმა ჩვენც შეგვძინა გარკვეული გამოცდილება და ყოველ მომდევნო დღეს მოცემულ მარშრუტს ჯგუფის უფრო დიდი უმრავლესობა ამთავრებდა. ასე რომ, პირველ დღეებში თუ აქაიქ წუწუნის ხმა გვესმოდა, ტატრებში ტურისტული მოგზაურობის მიწურულში გაკაჟებული ახალგაზრდები სინანულით ტოვებდნენ „სლოვაკურ კავკასიას“.

## კლეის ახალი პროფესია

მსოფლიო ჩემპიონმა პროფესიულ მოკრივეთა შორის კასიუს კლეიმ პროფესია მოკლე ხნით შეიცვალა. იგი ამჟამად ნიუ-იორკის ერთ-ერთ კაბარეში გამოდის. „აქამდე დოლარებს მუშტებით ვაგროვებდი, — განუცხადა მან ჟურნალისტებს, — მაგრამ მე მაქვს მშვენიერი ფეხები და ყელი. რატომ არ უნდა ვიცეკვო და ვიმღერო?“

თქვა და გააკეთა. მისი პედაგოგი ცეკვის დარგში გახდა ცნობილი პროფესიული მოკრივე რეი რობინსონი. მანამ, სანამ რობინსონი რინგზე მოღვაწეობდა, მას კარგი შემოსავალი ჰქონდა, მაგრამ დაანება თავი სპორტს და მთლიანად გაკოტრდა. სწორედ გაჭირვებამ მიიყვანა იგი კაბარეში. ამჟამად რობინსონი კასიუს კლეის ახალი პროფესიის დაუფლებაში ეხმარება. მსოფლიო ჩემპიონის საესტრადო პროგრამის მთავარი ნომერია სიმღერა „მომეცით დოლარები და მე გადავაბრუნებ შტატებს“.

## „ვეძებთ ჰარის მემკვიდრეს“

ასეთი სათაურით გამოაქვეყნა ცნობა დასავლეთგერმანულმა გაზეთმა „ფრანკფურტერ ალჰემეინმა“. როგორც ცნობილია, სახელგანთქმული სპრინტერი არმინ ჰარი ამჟამად სარფიანი საქმითაა დაკავებული — ვაჭრობს ავეჯით და მიწის ნაკვეთებით. ვინ შეცვლის ჰარის მძლეოსნურ ბილიკზე?

მის მემკვიდრედ პირველ რიგში ფრიც ობერზიბრასი მიაჩნიათ. იგი კიოლნიდანაა, სწორედ იმ ქალაქიდან, სადაც დაიბადა და გაიზარდა არმინ ჰარი. ობერზიბრასმა ამას წინათ 100 მეტრზე რბენაში 10,1 წამი აჩვენა. პრესის მტკიცებით, ამ გარბენის დროს ძლიერი ზურგქარი ქროდა, მაგრამ სპეციალისტებს ახალგაზრდა სპორტსმენის დიდი იმედი აქვთ.

არის კიდევ ერთი კანდიდატი — ფრიც როდელფელდი. 100 მეტრზე იგი 10,4 წამს აჩვენებს, 200 მეტრზე კი ზუსტად 21 წამს.





მოსკოვში ახლახან დამთავრებულ ზნამენსკების სახელობის მემორიალში ორი გამარჯვება მოიპოვა კუბელმა სპრინტერმა ქალმა მ. კობიანმა. იგი ფინიშთან პირველი იყო 100 და 200 მეტრზე რბენაში.

სურათზე: მ. კობიანი შეჯიბრების შემდეგ.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

რეკორდის სინამდვილეში თავდაპირველად ყველამ ეჭვი შეიტანა. ეს უნდობლობა შედეგის ფენომენალურობით კი არ იყო გამოწვეული, არამედ სპორტსმენის ვინაობით. სპეციალისტებისთვის ფრედ ჰანზენის გვარი არაფერს ნიშნავდა. მაგრამ 520 სმ ჭოკით ხტომაში ჯ. პენელის მსოფლიო რეკორდის გამეორება გახლდათ და არ შეიძლებოდა მისთვის ანგარიში არ გაეწიათ.

ერთი სიტყვით, მძლეოსნური სამყაროსთვის უცნობმა სტუდენტმა, 23 წლის ფ. ჰანზენმა ნიუ-იორკში ოფიციალური მსოფლიო რეკორდი გაიმეორა. მაგრამ საქმე მარტო ამაში როდი მდგომარეობდა. სპეციალისტების გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შეიტყვეს, რომ ეს შედეგი ნაჩვენები იქნა ჩვეულებრივ (არა სპეციალურ) ბილიკზე!

მას შემდეგ გავიდა ხანი. ფრედ ჰანზენის სარეკორდო ნახტომი ბევრისთვის ამოუცნობ საიდუმლოდ რჩებოდა მანამ, სანამ მას ფარდა თვით სპორტსმენმა არ ჩამოხსნა. და მერე როგორი გზით!

სან-დიეგოში გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ჰანზენმა თამასა 523 სმ სიმაღლეზე დაძლია და ამით სკეპტიკოსებს საბოლოოდ გაუქარვა ეჭვი.

სურათზე: ფრედ ჰანზენი სარეკორდო ნახტომის მომენტში.

## კლეოსავით, დასავლეთით, აღმოსავლეთით, სამხრეთით...

▲ **კიოლნი.** აქ გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. მასპინძელთა გარდა ძალებს სცდიდნენ რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და აშშ-ის სპორტსმენებიც. კარგად გამოვიდნენ ზნამენსკების სახელობის მემორიალში გამარჯვებული ჩეხოსლოვაკელები ლ. დანეკი და ი. ტროუსილი. დანეკმა ბადრო ტყორცნა 62,16 მ, ხოლო ტროუსილმა 400 მეტრი გაირბინა 46,5 წამში. მსოფლიო რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში ფ. ჰანზენი (აშშ) დამარცხდა ევროპის ჩემპიონ რიჰარდტთან (გფრ). რიჰარდტმა დაძლია 5 მეტრი სიმაღლე. ავსტრალიელმა ლ. კლარკმა ერთხელ კიდევ მიიტანა იერიში ვ. კუცის მსოფლიო რეკორდზე (5.000 მეტრზე რბენაში). 1 კილომეტრის შემდეგ მას სარეკორდო გრაფიკზე 2 წამით უკეთესი დრო ჰქონდა, მაგრამ მაღალ ტემპს ბოლომდე ვერ გაუძლო. მისი შედეგია 13.45.2, მ. ჟაზი ჩამორჩა 4,2 წამით და თავისი ქვეყნის რეკორდი გააუმჯობესა. ორი გამარჯვება მოიპოვა ამერიკელმა გ. კარმა—100 მ (10,3) და 200 მ (20,7) რბენაში. ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში კვლავ მიუწვდომელი იყო რუმინელი ი. ბალაში—180 სმ.

▲ **ლუშონი.** „ტურ დე ფრანსის“ XV ეტაპი (ტულუზა—ლუშონი) მოიგო ფრანგმა რ. პულიდორმა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ: ესპანელი ფ. გაბიკა, ბელგიელი ჟ. დესმე, ჰოლანდიელი ჟ. იანსენი, ფრანგი ა. ანგლადი, იტალიელი ვ. ადორნი, გერმანელი გ. იუნკერმანი, ესპანელი ს. ზლორცა და ფრანგი ჟ. ანკეტილი.

VXI ეტაპზე (ლუშონი—პო), სადაც 4 უღელტეხილი იყო გასავლელი, კვლავ ესპანელმა ფ. ბაამონტესმა გამოიჩინა თავი. მან 2 წუთი მოუგო ძირითად ჯგუფს, რომელშიც 9 ველოსიპედისტი იმყოფებოდა. 16 ეტაპის შემდეგ რბოლას ლიდერობს ჟ. გრუსარი (საფრანგეთი). მეორე ადგილზე გადაინაცვლა ფ. ბაამონტესმა, მესამეზე კი—ჟ. ანკეტილმა.

▲ **ლონდონი.** „უაიტ-სიტის“ სტადიონზე გამართული მძლეოსან ქალთა ინგლისის ჩემპიონატი აღინიშნა მაღალი შედეგებით. 100 იარდზე წინასწარ გარბენებში დ. არდენმა, დ. ჰაიმენმა და მ. ბიგნელ-რენდმა გაიმეორეს ევროპის რეკორდი—10,6. ფინალში ასეთივე შედეგით გაიმარჯვა არდენმა, რომელმაც შემდეგ 220 იარდზე რბენაში დაამყარა კონტინენტის ახალი რეკორდი—23,6. ბიგნელ-რენდმა ყველას აჯობა სიგრძეზე ხტომაში—658 სმ. ეს დიდი ბრიტანეთის ახალი რეკორდია და მეორე შედეგი საერთოდ მსოფლიოში. ასევე სარეკორდო მიღწევით — 54,3—აღინიშნა ე. პეკერის რბენა 440 იარდზე.

▲ **ბუდაპეშტი.** *მსოფლიო ჩემპიონმა — იაპონიის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა „ნიჩიბომ“ დაამარცხა უნგრეთის ნაკრები — 3:0 (15:4, 15:1, 15:2).*

▲ **ლევერკუზენი (გფრ).** 26 წლის გერმანელმა მრავალჭიდელმა ხ. სალომონმა შუბის ტყორცნაში აჩვენა 81,90 მ.

▲ **შვეციის** ახალი რეკორდი ჭოკით ხტომაში — 4,67 მ — დაამყარა 27 წლის ტ. მერტანენმა.

## 3. სუქოვა ეთხოვება ჩოგბურთს

უიმბლდონის წლევანდელი ასპარეზობა უკანასკნელი გამოსვლა იყო გამოჩენილი ჩეხოსლოვაკელი ჩოგბურთელისთვის — მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულ და პრიზიორ ვერა სუკოვასათვის. როგორც მან ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, ხელის დაზიანების გამო ამიერიდან ხანგრძლივად უნდა იმკურნალოს, ხოლო შემდეგ კი ველარ დაუბრუნდება ჩოგბურთს.

სუკოვა ომისშემდგომი ხანის უძლიერესი ჩოგბურთელი ქალი იყო ჩეხოსლოვაკიაში და ერთ-ერთი საუკეთესო — ევროპაში.

## ჯო ლუისს აღარაფერი დარჩა

მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, გამოჩენილი ზანგი მოკრივე ჯო ლუისი 50 წლის გახდა. უკანასკნელ ხანებში იგი ნიუ-იორკის ერთ-ერთ კაბარეში მუშაობს.

„ჩემი კარიერის მანძილზე, — განუცხადა ლუისმა ჟურნალისტებს, — დაახლოებით 5 მილიონი დოლარი გამოვიმუშავე, მაგრამ ჩემი თანხა მენაჯერებმა და სხვადასხვა საქმოსნებმა დაიტაცეს, მე კი აღარაფერი დამრჩა“.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირი, კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაცია და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ ვ. ი. ჯაფარიძეს მისი მამის **ილია დიმიტრის ძე ჯაფარიძის** გარდაცვალების გამო.

## თბილისის სპორტულ აფიშა

**მშვილდოსნობა. 11—12 ივლისი.** თბილისის პირადი პირველობა. ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონი. დასაწყისი 16 ს. შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველები უნდა ჩაეწერონ საორგანიზაციო კომიტეტში: ქალაქის სპორტკავშირი, კონსტიტუციის ქ. № 6. ტელეფონი 5-43-26.

**ფრენბურთი. 11 ივლისი.** საქართველოს პირველობა „ა“ კლასის გუნდებს შორის. „განთიადის“ ფრენბურთის მოედნები. დასაწყისი დილის 10 და 16 საათზე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. **რედაქციის მისამართი:** თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, **დეპეშებისთვის** — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე), პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 5-14, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილება — 5-14, ფოტოლაბორატორია — 5-16, მემანქანეთა ბიურო — 5-11, გამომშვები — 3-81.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 11248